

შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“ როგორც ლიტერატურული ზღაპარი

ნესტან კუტივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

ელ-ფოსტა: nestani.kutivadze@atsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-8419-6976>

აბსტრაქტი. ლიტერატურული ზღაპარი, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი, განსაკუთრებულია იმითაც, რომ საგულისხმო ტრანსფორმაციას განიცდის ჟანრობრივი თვალსაზრისით. ზღაპარი იწერება პოეტური თუ პროზაული ფორმით და არსებობს რომანის, მოთხრობის, ნოველის სახით. ეს ასპექტი ამ უკანასკნელს სრულიად განასხვავებს სხვა ლიტერატურული ჟანრებისაგან. XIX-XX საუკუნეების მიჯნის ცნობილი ქართველი მწერლის შიო არაგვისპირელის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური ნოველის დამკვიდრება. პროზაიკოსი, ამავე დროს, ლიტერატურული ზღაპრების ავტორიცაა. მწერალმა თავისი შემოქმედების შედეგებით ადრეულ წლებში დაწერილ მცირე მოცულობის რამდენიმე ტექსტის ქვესათაურში ამ ჟანრს თავად გაუსვა ხაზი („...და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“ (ზღაპარი, 1900), „გრძნული ციხე“ (ფანტასტიური ეტიუდი, 1901), „ჩემი თავგადასავალი“ (ფერია, 1901)) ისევე, როგორც მოგვიანებით გამოქვეყნებულ რომან-ზღაპარში „გაბზარული გული“ (ქართული არაკი 1920). ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ არაგვისპირელის შემოქმედების შეფასებისას ხაზი გაუსვა ავტორის ერთადერთ რომანსაც და ყურადღება გაამხვილა სიყვარულის, მეგობრობისა და ხელოვნების თემების მხატვრული ასახვის შინაარსობრივ ასპექტებზე. „გაბზარული გული“ მნიშვნელოვანია როგორც აღნიშნული საკითხების, ასევე, ტექსტში არსებული ალუზიური პლანებისა თუ ერთგვარი მეტატექსტური ფუნქციის მქონე ეპიზოდების გამოც, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის რომანისათვის დამახასიათებელ არაერთ ჟანრობრივ თავისებურებასაც. ამ თვალსაზრისით დეტალური ანალიზი წარმოაჩენს ფაბულისა და სიუჟეტის, ქვესიუჟეტების, მიმართების თავისებურებებს. საგულისხმოა, რომ რომანში ჩართული არაკები (მწყემსის არაკი, ტყის დედოფლის არაკი) გარკვეულ მსგავსებასაც ავლენს ამავე პერსონაჟების თავგადასავალთან და, ამავე დროს, ერთი ამბის განსხვავებულ ვერსიებსაც წარმოადგენს. კიდევ უფრო განმსაზღვრელია რომანის მიმართება ქართულ ფოლკლორულ ეპოსთან „ეთერიანი“. ამ კავშირზე მკითხველს თავად ავტორი მიანიშნებს პერსონაჟების სახელებით (ეთერი, მარეხი). შიო არაგვისპირელის რომანი-ზღაპარი „გაბზარული გული“ მრავალმხრივ საგულისხმო ტექსტია, როგორც ერთ-ერთი პირველი დიდი მოცულობის ლიტერატურული ზღაპარი, რითაც მწერალი გამორჩეულ ადგილს იჭერს ქართული ლიტერატურული ზღაპრის ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული ზღაპარი, ზღაპარი-რომანი, ინტერპრეტაცია, ალუზია.

შესავალი. ლიტერატურული ზღაპარი, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი, განსაკუთრებულია იმითაც, რომ საგულისხმო ტრანსფორმაციას განიცდის ჟანრობრივი თვალსაზრისით. ზღაპარი იწერება პოეტური თუ პროზაული ფორმით და არსებობს რომანის, მოთხრობის, ნოველის სახით. ეს ასპექტი ამ უკანასკნელს სრულიად განასხვავებს სხვა ლიტერატურული ჟანრებისაგან.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ცნობილი ქართველი მწერლის შიო არაგვისპირელის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური ნოველის დამკვიდრება. პროზაიკოსი,

ამავე დროს, ლიტერატურული ზღაპრების ავტორიცაა. მწერალმა თავისი შემოქმედების შედარებით ადრეულ წლებში დაწერილ მცირე მოცულობის რამდენიმე ტექსტის ქვესათაურში ამ ჟანრს თავად გაუსვა ხაზი („...და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“ (ზღაპარი, 1900), „გრძნეული ციხე“ (ფანტასტიური ეტიუდი, 1901), „ჩემი თავგადასავალი“ (ფერია, 1901) ისევე, როგორც მოგვიანებით გამოქვეყნებულ რომან–ზღაპარში „გაბზარული გული“ (ქართული არაკი 1920).

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ (მ. ზანდუკელი, დ. ბენაშვილი, ს. ჭილაია, ვ. ცისკარიძე და სხვ.) არაგვისპირელის შემოქმედების შეფასებისას ყურადღება გაამახვილა ავტორის ამ ერთადერთ რომანზე და გამოკვეთა სიყვარულის, მეგობრობისა და ხელოვნების თემების მხატვრული ასახვის შინაარსობრივი ასპექტები.

„გაბზარული გული“ მნიშვნელოვანია როგორც აღნიშნული საკითხების, ასევე, ტექსტში არსებული ალუზიური პლანებისა თუ ერთგვარი მეტატექსტური ფუნქციის მქონე ეპიზოდების გამოც, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოქმნის რომანისათვის დამახასიათებელ არაერთ ჟანრობრივ მარკერს. ამ თვალსაზრისით დეტალური ანალიზი წარმოაჩენს ფაბულისა და სიუჟეტის, ქვესიუჟეტების, მიმართების თავისებურებებს. საგულისხმოა, რომ რომანში ჩართული არაკები (მწყემსის არაკი, ტყის დედოფლის არაკი) გარკვეულ მსგავსებასაც ავლენს ამავე პერსონაჟების თავგადასავალთან და, ამავე დროს, ერთი ამბის განსხვავებულ ვერსიებსაც წარმოადგენს. კიდევ უფრო განმსაზღვრელია რომანის მიმართება ქართულ ფოლკლორულ ეპოსთან „ეთერიანი“. ამ კავშირზე მკითხველს თავად ავტორი მიანიშნებს პერსონაჟების სახელებით (ეთერი, მარეხი).

მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ–შედარებითი, ტექსტის მხატვრული ანალიზის, დესკრიპციული და კომპარატივისტული მეთოდები.

მსჯელობა. ფოლკლორული „ეთერიანის“ ჭრილში არაგვისპირელის ზღაპარ–რომანის გააზრებისას ნათლად იკვეთება, რომ რომანი ხალხური ეპოსის განსხვავებული წაკითხვაა. მსგავს ხერხს არაგვისპირელმა პირველად ნოველაში „შემუსვრილი სამი მცნება“ მიმართა, როდესაც „რამას განდევნის“ მეფის გადაწყვეტილების საპირისპირო ინტერპრეტირება მოახდინა და მიზანდასახული და მტკიცე მეომარი, ფაქტობრივად, ანტიგმირად იქცა, რისი საშუალებითაც ხაზი გაუსვა პიროვნებისთვის/ინდივიდისთვის სულიერი კრიზისის, რწმენის ნაკლებობისა და უმოქმედობის დამანგრეველ შედეგს (იხ. კუტივაძე, 2005, გვ. 56–69).

იგივე ვითარებაა „გაბზარული გულის“ შემთხვევაშიც. ბუნებრივია, მრავალპლანიან მხატვრულ ტექსტსა და ხალხურ ეპოსს შორის არსებითი განსხვავებაა, თუმცა ზოგიერთი საკითხი უფრო მეტ დეტალიზაციას საჭიროებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს ფოლკლორული ეპოსის გმირების სახელების მატარებელი პერსონაჟები რომანში. ამ ხერხს მწერალი ბუნებრივია, მიზამიმართულად იყენებს.

რომანის პერსონაჟებს, ეთერსა და მარეხს, მკითხველისათვის კარგად ნაცნობი ტექსტის გმირების სახელებთან ერთად მეტ–ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ ზღაპრის გმირების ფუნქციებიც.

ეთერი: კაცის კანჭიდან მოვლენილი ეთერი (ღლონტი, 1991, გვ. 492–499) ხდება ხელმწიფის ცოლი, მაგრამ აბესალომი (ხელმწიფე) ქორწილის დღეს უარს ამბობს ეთერზე, რადგან მას მკბენარი დაეხვევა.

კაცია ბატონის ასული („გაბზარული გული“) ეთერი ხდება სეფე–წულ ნადირას ცოლი, თუმცა მას ცოლობას არ უწევს, რადგან ხვდება, რომ ოქრომჭედელი უყვარს.

ორივე შემთხვევაში საბოლოოდ ერთდებიან შეყვარებული წყვილები: ეთერი და აბესალომი ხალხური ზღაპრის შემთხვევაში, ეთერი და ოქრომჭედელი მახარე რომანის შემთხვევაში.

მარეხი: ზღაპარში მარეხი ცდილობს მომაკვდავი აბესალომის სანახავად სასახლეში ეთერი მოიყვანოს და ძმა სიკვდილს გადაარჩინოს.

რომანში სეფე–წულის და მარეხი ცდილობს ძმას დაეხმაროს და გადაარჩინოს მისი ქორწინება.

მკაფიოა, რომ ორივე ტექსტში ამ გმირების როლი იდენტურია.

ამის მიუხედავად, როგორც მოსალოდნელი იყო, რომან–ზღაპარში გმირთა მოქმედების მოტივირება განსხვავებული და გართულებულია პერსონაჟთა დაფარული გრძნობებისა და მისწრაფებების ჩვენებით.

ეთერს უყვარს („გაბზარული გული“) ოქრომჭედელი, რომელმაც, თავის მხრივ, იცის, რომ ეთერი დედოფლობაზე ოცნებობს, თუმცა გახდება თუ არა დედოფალი, ეს სწრაფვა უფერულდება და მთელი ძალით იფეთქებს სიყვარული (ამ ეპიზოდში შესაძლებელია, ვასილ ბარნოვის რომან „მიმქრალი შარავანდედის“ ინტერტექსტიც ირეკლებოდეს). ამდენად, ფაქტობრივად, ვიღებთ სასიყვარულო სამკუთხედს მეფეს, დედოფალსა და ოქრომჭედელს შორის, რომელშიც სიყვარულით არიან დაკავშირებული ეთერი და ოქრომჭედელი.

ფოლკლორულ „ეთერშიც“ სიუჟეტურ დონეზე იგივე მოცემულობაა, ოღონდ განსხვავებულია მიმართებები. სამკუთხედს ზღაპარში ქმნიან: აბესალომი, ეთერი და მურმანი. ეს უკანასკნელი ემმაკთან გარიგებით ეუფლება ეთერს.

რომანში ეთერი ვერ იზიარებს მეფის სიყვარულს, რაც სეფე–წულს მძიმე მდგომარეობაში აგდებს.

მარეხი, როგორც ზღაპარში, რომანშიც ცდილობს ძმას ამ ვითარებიდან გამოსვლაში დაეხმაროს.

ხალხურ ზღაპარში უპირობოა დის სიყვარული ძმის მიმართ. რომანშიც და ძმის ერთგულია, მაგრამ ეს ხაზი გართულებულია ახალი ქვესიუჟეტით, რაც შემდეგნაირად განსახოვნდება – მარეხს უყვარდება მახარე–ოქრომჭედელი. თუ ეთერი და სეფე–წული ცოლქმრულ ცხოვრებას შეუდგებიან, მარეხს მახარესაკენ გზა გაეხსნება.

რომანის კიდევ ერთი საყურადღებო პერსონაჟია ირემა, მეფის ერთგული ვეზირი, რომელიც უარყოფილია მარეხისაგან და რომელსაც აბოროტებს ის ფაქტი, რომ სამეფო გვარის ასული ირჩევს დაბალი სოციალური ფენიდან გამოსულ მახარეს, თუმცა არა მას. ეს უკანასკნელიც სასიყვარულო სამკუთხედია მარეხს, ვეზირსა და ოქრომჭედელს შორის. ზოგადად, მარეხი ეთერის ერთგვარი ინვერსიული სახეა (ისინი ფიზიკურადაც ძალიან ჰგავნან ერთმანეთს). წარმომავლობასთან შედარებით მარეხიც გრძნობას ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ, ეთერისაგან განსხვავებით, მარეხის სიყვარულის ისტორია კეთილად ვერ სრულდება, მიუხედავად იმისა, რომ მის შემთხვევაში უფრო იოლი უნდა ყოფილიყო ამბის ბედნიერი დასასრული.

მოსალოდნელი იყო, რომ რომანის გმირების ლიტერატურული კვალი ბუნებრივად მისულიყო მურმანისა და აბესალომის ფუნქციების გამოვლენამდე, მით უფრო, რომ მურმანის სახის ერთგვარი მხატვრული ალუზირება რამდენიმე პერსონაჟში ხდება (მახარე, ირემა), მათ შორის, სეფე–წულიც აღმოჩნდება ამ როლში, რაც სავსებით კანონზომიერს ხდის იმ ფაქტს, რომ მწერალმა არ გამოიყენა აბესალომისა და მურმანის სახელები.

აღსანიშნავია, რომ თოთოეულ ამბავს თავისი განვითარება გააჩნია და წარმოადგენს რომანის სიუჟეტის რელევანტური ეპიზოდებს, რომელთა საშუალებით ავტორი მხატვრულ დამაჯერებლობას სძენს გმირთა მოქმედებას, რითაც ახალი აზრობრივი პლასტები შემოდის ტექსტში.

არაგვისპირელის რომან–ზღაპარი საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ პროზაიკოსმა თხრობაში ჩართო რამდენიმე არაკი. ეს უკანასკნელი მონაწილეობს ავტორის მიერ მკითხველისათვის შეთავაზებულ თავისებურ ლიტერატურულ თამაშში – განმეორდება თუ არა ის, რაც, ტექსტის მიხედვით, ლეგენდის ან გადმოცემის სახით არსებობს ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში, შეძლებენ, თუ არა, გმირები თავი დააღწიონ ამ გადმოცემების როგორც პირდაპირ, ისე ქვეცნობიერ ზემოქმედებას და შეცვალონ საკუთარი ცხოვრება. „რამდენი არაკი მოუსმენია ბავშვობისას, სადაც მეფის ასულნიც კი მწეყმს, მებატეს მისდევდნენ... თუნდ დედამ რომ უკანასკნელად უამბო, ხომ

დიდი შზგავსებაა ...“ – სვამს არცთუ მთლად რიტორიკულ კითხვას მწერალი (არაგვისპირელი, 1970, გვ. 470). ამასთან ტექსტში აქცენტირებულია მახარეს თანმდევი განცდა, რომ მის თავს ძველი ამბავი მეორდება (არაგვისპირელი, 1970, გვ. 512).

მახარეს ახსოვს დედის ნაამბობი ლეგენდა იმის შესახებ, როგორ მოიხიბლა კოშკში მყოფი ბატონის ასული მწყემსის დაკრული სალამურის ხმით ისე, რომ დატოვა კოშკი და მწყემსს გაჰყვა მთის წვერზე, მაგრამ, როდესაც ნეტარებაში მყოფი ოცნებისაგან გამოფხიზლდა, „მწყემსი უძრავად გაშეშებული იღო იმის წინ“ (არაგვისპირელი, 1970, გვ. 472). ქალს მწყემსი ერთგულმა ძაღლმა დაამარხვინა. „ქალისა და ძაღლის თავ–გადასავალზე აღარას ამბობენ, გარდა იმისა, რომ საქონელი ბარში ჩალაღეს პატრონებმა, თავიანთი საქონელი მიიღეს, და ქალი და ძაღლი კი ისევ მთისკენ გაემგზავრნენ“ (არაგვისპირელი, 1970, გვ. 473), – ამბის ასეთი ფინალი, ერთი მხრივ, კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ოქრომჭედლისთვის საკუთარ თავგადასავალს, მეორე მხრივ კი, სიმძაფრეს მატებს მთლიანად ტექსტს.

საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში ბატონის ასულს უნაზესი ხმა უხმობს. თუ არაკში ეს მწყემსის სალამურის ხმაა, რომანის შემთხვევაში, მახარეს, ოქრომჭედლის, მიერ ხელოვნურ ბაგეში გამომწყვდეული ეთერისავე ხმაა. მწყემსი, ბედნიერების მწვერვალზე მყოფი, იღუპება. „იქნებ მე უფრო ბედნიერი ვიყო მწყემსზე... ვარ კიდევაც... ის მოკვდა და მე ისევ ცოცხალი ვარ“ (არაგვისპირელი, 1970, გვ. 473), – ამბობს მახარე, რომელიც დარწმუნებულია, რომ მწყემსის თავს გადამხდარი ტრაგიკული ამბავის მისთვის კეთილად დასრულდება.

მართალია, ოქრომჭედელი სინდისის ქენჯნას განიცდის, რადგან კარგად იცოდა, რომ კაცია–ბატონის ასული დედოფლობაზე ოცნებობდა, მაგრამ სეფე–წულთან მეტოქეობის გრძნობა მაინც უჩნდება, ცდილობს სრულყოფილებას მიაღწიოს, ცხენოსნობასაც იმიტომ სწავლობს, რომ სეფე–წული კარგი მხედარია (არაგვისპირელი, 1970, გვ. 573). ამ ცოდნას რომანის ფინალში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა – არის მახარე მწყემსზე ბედნიერი? რომანში მოქმედების განვითარების მთელ მანძილზე, განსაკუთრებით კი ფინალით, ნათელია, რომ მახარე თავს ბედნიერად ამიანად არ მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ მას მწყემსისაგან განსხვავებით ვაჟიც შეეძინა საყვარელი ქალისაგან და ფიზიკურადაც გადარჩა.

რომანში, ასევე, საგულისხმო დატვირთვა აქვს ტყის დედოფლის არაკს. ამ უკანასკნელს მელორეთ–უხუცესი უამბობს მახარესა და ირემას (მეფის ერთგულ ყმას, მონადირეს), როდესაც ისინი ტყეს აფარებენ თავს.

მელორეთ–უხუცესის ნაამბობის მიხედვით, ერთ დამეს ბიძამის მგელას (ნიშანდობლივია, რომ მელორეთ–უხუცესი მახარეს ამსგავსებს მგელას) მოეჩვენა ტყის დედოფალი, რომელიც თავისი სინაზით და სილამაზით გამოირჩეოდა და თავისკენ იზიდავდა, ვინც მოეწონებოდა. თუ გაიტყუებდა რომელიმე მწყემსს და ჩაიხუტებდა, ამ უკანასკნელის სიმხურვალე დედოფალს გადაეცემოდა, თავად კი იყინებოდა „...თურმე ისე ჩაიხუტებს, ისე დაეწაფება ვაჟკაცს, რომ ნეტარებით რაც კი რამ სიმხურვალე აქვს, სულ დედოფალს აძლევს და თითონ კი იყინება...“ (არაგვისპირელი, 1970, გვ. 581–583). მგელამაც ვერ გაუძლო დედოფლის თვალისმომჭრელ მშვენიერებას, მაგრამ რამდენჯერაც მისკენ წავიდა, იმდენჯერ ხელი შეუშალა შეჩვეულმა კერატმა (მამალი ღორი). მართალია გაყინვასა და სიკვდილს გადარჩა, მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ გამორჩეული ვაჟკაცი ძალიან შეიცვალა.

ნიშანდობლივია, რომ ეს არაკი ნაწარმოებში თავად გმირების მიერ რეფლექსირდება შემდეგნაირად: ასეთი ჯადოსნური სიყვარულის თუნდაც ერთხელ, ერთი ღამით, განცდა და დაღუპვაა უმჯობესი, თუ ვერ დაძლიო ის და „გაუცინრად აღმოიფხვრა“, როგორც მგელას დაემართა. მახარე თვლის, რომ უმჯობესი იყო მგელა ბოლომდე ჩაჰყოლოდა ტყის დედოფალს (არაგვისპირელი, 1970, გვ. 583). მრავლისმთქმელია, რომ მელორეთუხუცესიც ეთანხმება მას.

ტექსტის მიხედვით, ირემა მახარეს მგელაზე უშიშრად მიიჩნევს, რითაც ავტორი მკითხველს არაკისა და რომანის ძირითადი ამბის კავშირზე მიანიშნებს, რაც ამ რეფლექსირების გაგრძელებას გულისხმობს არა ზოგადად, არამედ გმირების თავგადასავლის გათვალისწინებითაც.

საერთოდ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს რომანის გმირების ცხოვრებაზე საკმაოდ ძლიერი გავლენა აქვს. თავიდან მახარეს ალად წარმოუდგება ეთერი, ირემასაც ალად მიჩნია იგი და სასახლიდან გარბის შიშის გამო, თავის მხრივ, ავ სულად მიიჩნევს მახარეს ეთერის გადია.

რა თქმა უნდა, რომანის მოქმედ გმირთა მეხსიერებაში შემონახული არაკები ხალხის ცხოვრებისეული გამოცდილების გამომხატველია, მაგრამ ნაწარმოებში ასახული მხატვრული სინამდვილე გაცილებით უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია, ვიდრე ეს ტრაგიკული გადმოცემები, რითაც მოქმედი გმირები მათ ირგვლივ შექმნილი რეალობის ახსნას ცდილობენ, შესაბამისად, მათი ბედიც უფრო მეტად არის დამოკიდებული საკუთარსავე არჩევანზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რომანში გადმოცემული სასიყვარულო ისტორიები თავის კულმინაციას აღწევს, როდესაც ეს უკანასკნელი დრამატულად დაუკავშირდება სამეფოს ბედს. ტექსტში მოთხრობილი ზღაპრული ამბავი თხზულების მეექვსე კარში ალეგორიულად საქართველოს სინამდვილეს, XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიულ რეალიებს ასახავს, შესაძლოა ქვესათაური – ქართული არაკი – სწორედ ამ უკანასკნელზე მინიშნებას გულისხმობდეს.

ჩრდილოეთის მეფის მიერ მოსათვინიერებლად რაშის გამოგზავნა ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ გამჭვირვალე სიმბოლური დატვირთვის მატარებელია.

ცნობილია, რომ ქართულ ხალხურ ზღაპარში

„რაშის გახედვნის“ ეპიზოდი, როგორც გმირის დახასიათების საუკეთესო საშუალება, რთული დავალების შესრულებასთანაა დაკავშირებული. ეს ეპიზოდი ერთგან შესაძლოა კულმინაციური იყოს, სხვაგან კი მოქმედების განვითარების ფუნქციას ასრულებდეს. (...) რაშის გახედვანს მამაცი გმირები ახერხებენ და მათ თავის დამხმარედ გადააქცევენ“ (ქურდოვანიძე, 2002, გვ. 140–141).

ზღაპრული რაშის ფუნქცია არსებითად შენარჩუნებულია რომანში, გამოკვეთილია რთული დავალებაც, რომელიც სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და მეფის ღირსების შენარჩუნება-დაკარგვასთანაა დაკავშირებული.

თავისთავად ის, რომ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩრდილოეთის მეფე, რომელსაც „მთელი ხმელეთი აქვს დაპყრობილი“ (არაგვისპირელი, 1970, გვ. 587), ნადირ მეფის (სეფე-წულის) ულამაზეს ცოლს მოითხოვს, ზღაპრისათვის დამახასიათებელი დეტალია, მაგრამ ტექსტში ამ დეტალს განსხვავებულ დატვირთვა აქვს. სწორედ აქ ჩნდება ნადირ-მეფის მშიშარა ბუნება, რაც საბოლოოდ დაღუპავს კიდეც მას. იგი გადაწყვეტს, მარეხი გაუგზავნოს ჩრდილოეთის მეფეს, რომელმაც ერთხელ უკვე გახედნილი რაში უკან მოუბრუნა, ვირად გიქცევიათო. ცხადია, ჩრდილოეთის მეფისათვის მთავარი ამ ქვეყნის დამორჩილებაა, რაში მხოლოდ საბაბია ომისათვის. ნადირ-მეფეს კი სურს ომზე თქვას უარი, ისარგებლოს იმით, რომ დედოფალი მისი და ჰგონიათ მოციქულებს. ეს დეტალი ნაწარმოებში რამდენჯერმე მეორდება. თავად ნადირ-მეფეც ეთერში მარეხის მსგავს მშვენებას ხედავს და ამიტომაც გადაწყვეტს მასზე იქორწინოს, პირველად ღლის სინათლეზე ხილვისას ვერც ოქრომჭედელი არჩევს ეთერსა და მარეხს.

ქვეყნის დიდი მეფე საომრად უხმობს თავის ხალხს, ქალიშვილს კი გახიზნავს. მიტოვებული სასახლის ხილვისას შეშინებული ნადირ-მეფეც ტყეში უჩინარდება და ქვეყანა უპატრონოდ რჩება. უკან მობრუნებულ მეფეს პირველი ბრძოლა უკვე მოგებული ხდება, ოღონდ ამ გამარჯვებას მისი ერთგული მონადირე ზეიმობს, რომელიც ხალხს თავისავე მეფეს ჩააქოლვინებს, საკუთარ მეგობარს (ოქრომჭედელს) კი იმის გამო, რომ მეფის გადარჩენას ცდილობს, მოღალატედ აცხადებს.

ქვეყნის ბედის გადამწყვეტ მომენტში ოქრომჭედლისა და მონადირის ასეთი აქტიურობა ამ საზოგადოების დაშლის მიმანიშნებელია, ამასთან, მეფის, მონადირისა და ოქრომჭედლის ერთ

სიბრტყეზე წარმოჩენა ანარეკლია იმ ცვლილებებისა, საზოგადოებრივ ძალთა გადაადგილებაში რომ ხდებოდა XX საუკუნის დასაწყისში. მართალია, ფოლკლორული ზღაპარი ზოგადად გამო-რიცხავს სოციალურ წარმოშობას, როგორც დაბრკოლებას, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარი ამ მოვლენას არ ეხება. ტექსტში ნათელია მოვლენათა იმგვარი ჯაჭვი, რომელშიც ლიტერატურული ზღაპრის ავტორის ეპოქის ტენდენციები იჩენს თავს, რაც სავსებით რელევანტურია ლიტერატურუ-ლი ზღაპრის ჟანრისათვის.

ნაწარმოები იწყება ზღაპრისათვის დამახასიათებელი ტიპური ფორმულით: იყო და არა იყო რა, მაგრამ დასასრულს არ ჩანს იგივე ტიპური ფორმულა – ჭირი იქა, ლხინი აქა და, ასევე, ზღაპრი-სათვის დამახასიათებელი კეთილი ფინალი. „გაბზარული გულის“ უკანასკნელი ფრაზაა: „*ძმადნა-ფიცმა ხალხის მოღალატედ გამოძახა*“ (არაგვისპირელი, 1970, გვ. 638). ამას ამბობს გმირი, რომელმაც თითქოს იპოვა ბედნიერება. როგორც დასაწყისში აღინიშნა, არაერთი ლიტერატურათ-მცოდნის აზრით, რომანში იმარჯვებს სიყვარული (ეთერისა და მახარეს (ოქრომჭედლის) გრძნობის სახით), მაგრამ სწორედ მახარეს აცხადებს ძმადნაფიცი მოღალატედ. სწორედ მეგობრის საქციე-ლის გამო მახარეს გული ემსგავსება გაბზარულ ზარს: „მისმა გულმა ჟღერიალი გამოიღო, როგორც გაბზარულმა ზარმა, როდესაც ის უნებურად სტყორცნა“ (არაგვისპირელი, 1970, გვ. 638). თითქმის იმავეს ამბობს ეთერი ამბის დასაწყისში, რომ ზარის გაბზარვით გაიბზარა მისი გულიც (არაგვის-პირელი, 1970, გვ. 558), თუმცა ეს უკანასკნელი მახარესა და მის სიყვარულს მიემართება.

ტექსტში მკაფიოა მწერლის აპელირება ზნეობრივ ასპექტებზე. ნაწარმოების მოქმედი გმირე-ბის ერთმანეთის მიმართ არაგულწრფელი დამოკიდებულება განსაზღვრავს მათს პირად ტრაგე-დიასაც. ნადირ–მეფე იცრუებს, ვეზირად წარუდგება ეთერს, ეთერს მახარე უყვარს, მაგრამ დედოფ-ლობას ამჯობინებს, მახარემაც იცის, რომ ეთერი დედოფლობაზე ოცნებობს, მაგრამ მაინც დაე-წაფება მის სიყვარულს, შემდეგ თავადაც გაიმეტებს მარესს (მეფის დას), რომელიც მისი დანიშ-ნულია. ირემა ცდილობს, ხალხის წინაშე გმირად წარმოჩნდეს და აზვიადებს საკუთარ დამსახუ-რებას.

ნიმანდობლივია, რომ არაგვისპირელი რომანში ომონიმურ სახელებს იყენებს. ერთ–ერთია უგულო. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, უგულო ნიშნავს გულქვას, გულცივს, უგრძნობელს, რამე საგანს, რომელსაც გული არ აქვს, ასევე, უხალისოს (ლექსიკონი, 1990, გვ. 926). რომანში მახარე მარეხთან დამოკიდებულებაში მართლაც ამჟღავნებს ამ თვისებებს, მაგრამ, ამავე დროს უგულოს მას არქმევს ძმადნაფიცი ირემა მისი გაბედულებისა და უშიშრობის გამო.

როგორც ფუნქციური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ზარი. ეს უკანასკნელი ამასთანავე მჭიდროდ უკავშირდება თხზულებაში რეპრეზენტირებულ ხელოვნების თემას (იხ. კუტივაძე, 2009, გვ. 338-347). რომანის სიუჟეტურ ქარგაში უმთავრესი ფუნქცია აქვს დაკისრებული ოქრომჭედლის მიერ ჩამოსხმულ ზარს, რომელიც იარაღია ეთერისათვის სეფე–წულის მოსახიბ-ლავად და გასადედოფლებლად. სიტყვა ზარი ომონიმური მნიშვნელობისაა და მას რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია: ზარი კონუსის ფორმის სპილენძის შენადნობისაგან ჩამოსხმული ნაკეთობაა შიგნით მოძრავი რკინის ღეროთი, რომელიც ხმას გამოსცემს; ზარი შიშით, მოულოდნელობით გამოწვეული ელდა და ზარი – ტირილი, გლოვა (ლექსიკონი, 1990, გვ. 500–501).

სამივე ამ ნიშვნელობით მოიხსენიებენ რომანის პერსონაჟები ამ ხელსაწყოს. მახარე ზარს ბაგეს, ეთერის ბაგეს უწოდებს (არაგვისპირელი, 1970, გვ. 477), კაცია ბატონი შიშის ზარს (არაგის-პირელი, 1970, 473, 480), საამო ზარადაც მოიხსენიებენ (არაგისპირელი, 1970, გვ. 476) გაბზარვის შემ-დეგ კი „თავ–ზარად“ იქცევა (არაგისპირელი, 1970, გვ. 480).

გარდა იმისა, რომ რომანში ჩამოსხმული ზარი ადამიანის ხმას იმეორებს, სწორედ ეს ჯადოს-ნური საგანი ქრესტომატიულად აქცევს ტექსტს ლიტერატურულ ზღაპრად, მის ჩამოსხმაცა და გაბზარვაც სიუჟეტის არსებითი ელემენტია.

საგულისხმოა, რომ ორმაგი დატვირთვა აქვს ნადირ–მეფის სახელსაც. ეს უკანასკნელი ასოცირდება მტაცებელ ცხოველთანაც, თუმცა ასოციაციით ის შეიძლება დაკავშირებული იყოს ნადირობასთან. ნადირობის დროს შეხვდა აბესალობი ეთერს, სეფე–წული, თავის ერთგულ ყმას, მონადირეს უცვლის როლს, რომ ეთერი ნახოს ჩუმად (არაგვისპირელი, 1970, გვ. 483).

სწორედ პერსონაჟთა ქცევის, პიროვნული ნიშნებისა თუ მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით ნიშანდობლივია, რომ მწერალმა რომანს მოსალოდნელი „გაბზარული ზარის“ ნაცვლად, სწორედ „გაბზარული გული“ უწოდა.

შიო არაგვისპირელი რომანში უჩვენებს იმ სამყაროს, რომელშიც უგულვებელყოფილია ზნეობრივი პრინციპები, რაც სახელმწიფოს ნგრევის მთავარი მიზეზია, ხოლო ხალხის მიერ ჩადენილი უმძიმესი ცოდვა – საკუთარი მეფის მოკვლა – ამ საზოგადოების განწირულობის გამომხატველია. ნაწარმოების დასასრულის ამ სიბრტყეში გადატანა ნათელს ხდის მწერლის საკმაოდ პესიმისტურ დამოკიდებულებას თავის ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული პროცესების მიმართ.

დასკვნა. შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“ ავტორის ერთადერთი რომანია. ცნობილი ნოველისტის მიერ თავისი მოღვაწეობის დასასრულს შექმნილ ამ ნაწარმოებს კარგად ეტყობა როგორც მწერლის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების, ისე ჩვენი ქვეყნის წარსულისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ–საზოგადოებრივი მოვლენების კვალი. პროზაიკოსის მიერ „გაბზარულ გულში“ დასმული უმწვავესი ზნეობრივი პრობლემები მოიცავს ნაწარმოების ყველა დანარჩენ თემას. ლიტერატურული ზღაპრისათვის დამახასიათებელი ალეგორიზმით მწერალი შეეცადა, აეხსნა ის მიზეზები, რომლებმაც, მისი აზრით, განაპირობეს არაერთი მოვლენა საქართველოს ისტორიულ თუ საზოგადოებრივ ყოფაში.

შიო არაგვისპირელის რომანი–ზღაპარი „გაბზარული გული“ მრავალმხრივ საგულისხმო ტექსტია, როგორც ერთ–ერთი პირველი დიდი მოცულობის ლიტერატურული ზღაპარი, რითაც მწერალი გამორჩეულ ადგილს იჭერს ქართული ლიტერატურული ზღაპრის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

არაგვისპირელი, შ. (1970). ერთტომეული, თბილისი.

კუტივაძე, ნ. (2005). ადამიანის არსის ძიება შიო არაგვისპირელის ნოველებში, ქუთაისი.

კუტივაძე, ნ. (2009). შიო არაგვისპირელის "გაბზარული გულისა" და გერჰარტ ჰაუპტმანის "ჩაძირული ზარის" ტიპოლოგიის საკითხისათვის, საერთ. სამეცნ. კონფერენციის: "ენა როგორც კულტურათაშორისი მედიატორი" მასალები, ქუთაისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (1990). ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბილისი.

ქურდოვანიძე, თ. (2002). ქართული ზღაპარი, თბილისი.

ღლონტი, ალ. (1991). შემდგ. ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი.